2014 წელი 30 ივნისი - იმედო გაოგავამ ფრაქცია ,,ქართული ოცნება-რესპუბლიკელები“-ს სახელით გააკეთა განცხადება, მან აღნიშნა, რომ სამტრედიისათვის ფეხბურთი არის სისხლხორცეული საკითხი, ჩვენ რისი საშუალებაც გვაქცს იმით უნდა დავეხმაროთ. მაგრამ მინდა ავღნიშნო, რომ სპორტის სხვა სახეობები ფეხბურთის გამო არ უნდა დაიჩაგროს, ერთის ხარჯზე მეორე არ უნდა იძირებოდეს. საკმაოდ დიდი წარმატებები აქვს სამტრედიელ მოჭიდავეებს, მაგრამ მათ მიმართ ასეთი დიდი ყურადღებას ვერ ვიჩენთ. საფეხბურთო გუნდს ჰყავს ხელმძღვანელი და მან უნდა მოიძიოს სპონსორი, რომელიც იქნება მთავარი ძარღვი და არტერია. ამას დრო და ფული ესაჭიროება, ამ ეტაპზე სამტრედიას ჰყავს საკმაოდ სერიოზული გუნდი და ის ერთ-ერთი მოწინავე უნდა იყოს.

2014 წელი 24 სექტემბერი - იმედო გოგავამ აღნიშნა, რომ გუნდი დაფინანსდეს წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად 400.0 ათ.ლარით და პრიორიტეტი მიენიჭოს სოციალურ სფეროს, დარჩეს დაფინანსება 70.0 ათ.ლარის ფარგლებში. ეს არის ზღვაში წვეთი იმ ადამიანებისთვის, ვისაც 5; 10; და 15 ლარი არ გააჩნია წამლის შესაძენად და ნუ მოვახდენთ მათ იგნორირებას

2015 წელი 17 თებერვალი - იმედო გოგავამ აღნიშნა, რომ საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტს ხელფასი აქვს 1 8 7 5 ლარი, ანუ ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელს, საკრებულოს თავმჯდომარის მოადილესა და გამგებლის მოადგილეზე მეტი ხელფასი აქვს. ადრე იყო რეგულაციები, რომელიც საჭიროა დღესაც მუშაობდეს. ხოლო რაც შეეხება მმართველ დირექტორს, მუშაობს ანაზღაურების გარეშე, რაც კანონის დარღვევაა. თუ მას არა აქვს სურვილი აიღოს ხელფასი, მიმართოს ის სურვილისამებრ.

2015 წელი 27 აპრილი - იმედო გოგავამ აღნიშნა, რომ საფეხბურთო კლუბის ბიუჯეტმა დღეის მდგომარეობით მილიონ ლარს გადააჭარბა, გუნდი მე-5 ადგილზეა. სასურველი იქნება მობრძანდეს გუნდის ხელმძღვანელობა სხდომაზე და აგვიხსნან რა მდგომარეობაა საფეხბურთო კლუბში. ელემენტარულად ისიც ვერ მოხერხდა, რომ საკრებულოს წევრებს ჰქონდეთ საშვი.

2016 წელი 21 იანვარი - იმედო გოგავა - ,,წარმოდგენილი პროექტიდან ირკვევა, რომ საპრემიო თანხა მთლიანად შემცირდა. ითქვა, რომ შეთანხმება მიღწეულია ყველა ფეხბურთელთან და ისინი წინააღმდეგი არ არიან საპრემიო

ფონდის გაუქმებით. თუმცა კონტრაქტი დადებულია ინდივიდუალურად თითოეულ ფეხბურთელთან, გადაიხედება თუ არა ხელშეკრულებები და მომავალში გათვალისწინებული იქნება თუ არა საპრემიო ფონდი. ასევე საფეხბურთო კლუბის წესდებაში წერია, რომ ის არის ,,კავშირი'' და აქვს ვალდებულება მოიძიოს თანხები და სპონსორები, თუ არის ამ კუთხით რაიმე ნაბიჯები''.

2016 წელი 2 თებერვალი - იმედო გოგავამ აღნიშნა, რომ მე ხელთ მაქვს ა(ა)იპ კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედიას 2009 წლის ფეხბურთის განვითრების პროგრამა, რომლის მიხედვით კავშირის ქონება იქმნება შემოწირულობებით, გრანტებით, დამხმარე სამეწარმეო საქმიანობით, ბილეთებისა და აბონემენტების რეალიზაციით და სარეკლამო პარტნიორობით მიღებული შემოსავლებით, ასევე კანონით აუკრძალავი სხვა საშუალებებით. მოძიებული თანხები საკმაოდ გააუმჯობესებს კლუბის ეკონომიკურ მდგომარეობას და შეამცირებს სუბსიდიის რაოდენობას ადგილობრივი ბიუჯეტიდან. მე არ მახსენდება არც ერთი ჩატარებული ღონისძიება, რომელიც გუნდს ფინანსურ დახმარებას გაუწევდა. დღევანდელი პირობები ნამდვილად სასათბურე პირობებია. მარტო ბიუჯეტი კლუბს ვერ შეინახავს. ჩვენ გვიყვარს ფეხბურთი, მაქსიმალურად მხარში ვუდგავართ საფეხბურთო კლუბს, ვცდილობთ მის ხელშეწყობას, მაგრამ მაინტერესებს რა ღონისძიებები გაატარეთ იმისათვის, რომ მოგეძიებინათ ფინანსები. გაქვთ თუ არა რაიმე გეგმა კლუბის განვითარებისთვის.